ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2021 წლის 28 სექტემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი მომზადებულია, საკრებულოს აპარატის მიერ, გამომდინარე იქიდან, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 22 სექტემბრის ბრძანების „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების სამსახურეობრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ", უფლებამოსილება შეჩერებული აქვთ საკრებულოს თანამდებობის პირებს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის გამო.

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის მერის სამსახურეობრივი უფლებამოსილების დროებით შეჩერების თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

2. ინფორმაცია პეტიციის წესით შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საკვიკვინიოს უბანში გზის მოწყობის შესახებ;

(მომხსენებელი: მ. ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: გ. იოსავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,

ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

3. შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ შესაბამისობის და ფინანსური აუდიტორული შემოწმების ანგარიშის თაობაზე

(მომხსენებელი: მ. ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ი. ძიძიგური - მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ლემონჯარია, მ. ნადარაია, მ. ჭოხონელიძე, ფ. შონია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის მერის სამსახურეობრივი უფლებამოსილების დროებით შეჩერების თაობაზე

(მომხსენებელი: მ. ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის მერის სამსახურეობრივი უფლებამოსილების დროებით შეჩერების თაობაზე (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში კანდიდატად წარდგენის (რეგისტრაციის) გამო, 2021 წლის 2 სექტემბრიდან ხობის მუნიციპალიტეტის მერს გოჩა გაჯაიას შეუჩერდა სამსახურეობრივი უფლებამოსილება, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის მორიგი არჩევნების შედეგების შეჯამებამდე ვადით. გამომდინარე აქედან 2021 წლის 2 სექტემბრიდან დღემდე

ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობას ასრულებს ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით რაიმე სახის მოსაზრება ან შეკითხვა ხომ არ ჰქონდათ. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

2. ინფორმაცია პეტიციის წესით შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საკვიკვინიოს უბანში გზის მოწყობის შესახებ

(მომხსენებელი: მ. ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: გ. იოსავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: გ. იოსავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია პეტიციის წესით შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საკვიკვინიოს უბანში გზის მოწყობის შესახებ (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საკვიკვინიოს უბანში გზის რეაბილიტაცია ამ ეტაპისთვის ვერ განხორციელდებოდა, ბიუჯეტში საჭირო თანხის არ არსებობის გამო. გამომსვლელის განცხადებით, აღნიშნულ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა შესაძლებელი იქნებოდა ბიუჯეტში დამატებითი თანხის მობილიზების შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით რაიმე სახის მოსაზრება ან შეკითხვა ხომ არ ჰქონდათ. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

3. შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ შესაბამისობის და ფინანსური აუდიტორული შემოწმების ანგარიშის თაობაზე

(მომხსენებელი: მ. ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

მოისმინეს: ი. ძიძიგური - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ შესაბამისობის და ფინანსური აუდიტორული შემოწმების თაობაზე (ოქმს თან ერთვის). გამომსვლელმა ვრცლად ისაუბრა შპს „ხობი დასუფთავება და განათებაში“ არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით შპს-ს მიმართ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, კერძოდ: 1. შესყიდვების პროცედურა დასახვეწია; ხელშეკრულებები უნდა იყოს მკაფიოდ, უშეცდომოდ შედგენილი; ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვადები და სხვა პირობები უნდა იქნეს მკაცრად დაცული; იგივეს თქმა შეიძლება მიღება-ჩაბარების აქტებზეც. ამასთან შესყიდვის დოკუმენტაცია ვადების დაცვით უნდა აიტვირთოს შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე. 2. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის რამდენიმე დეკლარაცია დასაზუსტებელია. 3. შპს-ში უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია სარეკომენდაციო ვადების დაცვით. უმჯობესია ყოველწლიურად სრულად ტარდებოდეს ინვენტარიზაცია. 4. მოწვეულ იქნას ექსპერტი მანქანების წვის ნორმის დასადგენად. საგზურები შეივსოს სრულყოფილად ოდომეტრის და სწორად აღწერილი მოტოსაათების მიხედვით. ასევე, უნდა შეივსოს საგზური გარკვევით. გამომდინარე იქიდან, რომ ამ პრობლემაზე უკვე ორჯერ მიეთითათ, ამასთან მიზანშეწონილია საგზურების გამოწერის ვალდებულება გადაეცეს სხვა პირს. 5. მანქანების რემონტის ხარჯების, განსაკუთრებით ზრდის პირობებში, შესაბამისი კონტროლი უნდა განხორციელდეს სწორ ექსპლუატაციაზე. მნიშვნელოვანი რემონტის აუცილებლობის შემთხვევაში გამოვლინდეს მიზეზი და დადგინდეს, პასუხისმგებელი პირი. ძველი და გაფუჭებული ნაწილები დასაწყობდეს და გატანილ იქნას აუქციონზე სხვა ჩამოწერილ საქონელთან ერთად წლის ბოლოს. 6. განათების დეფექტურობის აქტები უნდა შედგეს კონკრეტული ლოკაციების მიხედვით, კრებსითი აქტები არ უნდა დგებოდეს. მიღება-ჩაბარების აქტებს უნდა დაედოს საფუძვლად შესრულებული სამუშაოს აქტები. მიღება-ჩაბარების აქტს უნდა აწერდეს ხელს მერიის წარმოდგენილი, რადგან ბოძები და ლამპიონები მერიის ბალანსზე ირიცხება. 7. მოსაკრებლის ამოღების კუთხით განსახორციელებელია ქმედითი ღონისძიებები, რაღაც ეტაპზე უნდა დაინერგოს მოსაკრებლის ბანკით ან გადახდის აპარატით გადახდა. პარალელურად შესაძლებელია ინკასატორის მეშვეობით, თუ ამას ექნება რაიმე ეკონომიკური ეფექტი. ინკასატორების შემთხვევაში ამოღება უნდა იყოს რეგულარული, ამ მხრივ აშკარად სისტემა მოიკოჭლებს, რაზეც ციფრები მეტყველებს. მიზანშეწონილია საკრებულომ მიიღოს დადგენილება ან შეიმუშავოს ინსტრუქცია იურიდიული პირების მოსაკრებლის დასაანგარიშებლად. 8. ნაგვის ურნების ადმინისტრაციულ ერთეულებში განაწილება უნდა დაექვემდებაროს

გარკვეულ კონტროლს. უნდა განისაზღვროს პასუხისმგებელი პირი ან პირთა ჯგუფი, რადგან კონტეინერების განაწილება სამართლიანად ვერ ხდება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები ან შენიშვნები.

აზრი გამოთქვეს: ა. ხურცილავა - გამომსვლელი დაინტერესდა პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოწყობილი გარე განათება ჩაბარებულია თუ არა? რადგან როგორც კი განათება ჩართეს იმ წამსვე დაიწვა მთლიანი განათების სადენი.

ი. ძიძიგური - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ამ დროისთვის არ გააჩნდა ზუსტი ინფორმაცია და პირადად აიყვანდა აღნიშნულ ფაქტს კონტროლზე.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს მოთხოვნით განხორციელდა აუდიტორული შემოწმება შპს „დასუფთავება და განათებაში", მადლობა გადაუხადა მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსს და მთლიან სამსახურს, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს აღნიშნულთან დაკავშირებით. ამასთან იმედი გამოთქვა ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს გამოთქმულ ყველა რეკომენდაციას და არსებული ყველა პრობლემა აღმოიფხვრება. საკრებულოს არც ყოფილ ხელმძღვანელთან ჰქონია პირადი პრეტენზიები, უბრალოდ საკრებულოს წევრების მიერ მოსახლეობის მხრიდან წამოჭრილი საკითხები რჩებოდა ყურადღების მიღმა და პრობლემები დროულად ვერ გვარდებოდა.

რ. წულაია - შპს „ხობი დასუფთავება და განათების" დირექტორი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ რაც შეეხებოდა გარე განათებას უხარისხოდ და არასწორად იყო გაკეთებული და გამომდინარე აქედან ბევრგან იყო ასეთი პრობლემები. ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ გარე განათების სადენებზე მიერთებულია ახლად დამონტაჟებული გარე განათების სადენები, გამომდინარე აქედან ძალიან დიდი დატვირთვა აქვს, ეცემა ძაბვა და მასიურად იწვება ნათურები. აუცილებელია დაიყოს არსებული განათებები სექციებად და პრობლემაც მოგვარდება, რისთვისაც გამოყოფილია ჯგუფი და მოგვარდება არსებული პრობლემებიც.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარემ წარმატებები უსურვა შპს „ხობი დასუფთავება და განათების" დირექტორს და განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში, როგორც ადრე, ახლაც საკრებულოს მხრიდან სრული თანადგომა ექნებოდათ.

დ. ბერაია, კ. გოქაძე - გამომსვლელებმა მადლობა გადაუხადეს შპს „ხობი დასუფთავება და განათების" ახალ დირექტორს, პირველ ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათებასტან დაკავშირებით არსებული პრობლემის დროულად მოგვარების გამო და წარმატებები უსურვეს შემდგომ საქმიანობაში.

ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - გამომსვლელმა მადლობა გადაუხადა მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურს გაწეული საქმიანობისთვის და განაცხადა, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შპს „ხობი დასუფთავება და განათებაში" მერიის მხრიდან გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. ტარიელ ალექსანდრია
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. მერაბ ფილიპია
7. კახა ლატარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. დავით ცინაძე
10. ლაშა ცატავა
11. დიტო ხასია
12. ნიკოლოზ ვეკუა
13. მერაბ ნადარაია
14. ავთანდილ ხუნჯუა
15. გოჩა სიჭინავა
16. მზია ლემონჯარია
17. კობა გოქაძე
18. გენადი ქამანაია
19. იგორ გოგოლაძე
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია
22. აკაკი ხურცლავა
23. გოჩა ჯობავა
24. რამინ ხილაძე
25. კოსტანტინე ნასარაია
26. ფრიდონ შონია